

შინაური საქმეები.

უკველ-კვირული გაზეთი

№ 45.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 23 დეკემბერი 192 წელი

უკველ-კვირული გაზეთი

შინაური საქმეები

ხელის მაკურნებელი (რე-
დაქციაში, ქ. ქუთაისში სე-
რთავალი — კახეთის შე-
სახეობა. N 17). და აბაღისში გამოგვეკვლიან სიამის ბაზარში, სომხისაგან შექმნილი
მალაჩაში. გამოგვეკვლიან თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	სახ. წლით:	სახ. თვეთ:	ერთი თვეთ:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულადი შერეობა წლიური ფასი 2 მანეთი. თვეთი ფასი 1 მანეთი. და 1 იანის 2 მ.
გამოგვეკვლიან თვეში ოთხი ნომერი. გამოგვეკვლიან თვეში ოთხი ნომერი.

ადრესი: ქუთაისი: „შან-ურა საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. შობა — ბაირონიშვილისა; 2. ძისადმი კა-
ცისა — ბაირონიშვილისა; 3. იროდი — ონოტრე მწირი-
სა; 4. შობა იესოსთვის — მღ. ლუკიანოვისა; 5. ხემა-
ლის მთა — მღ. ი. ყრუაშვილისა; 6. კრიტიკული შენი-
შენები — ხომლელისა; 7. იაკობ გოგებაშვილის სიკვდი-
ლის გამო — ივერიელისა; 8) იაკობ გოგებაშვილის სიკვ-
დილზე (ლექსი) — ივერიელისა; 9. კვირილამ-კვირამღე;
10. მოგონება — მღ. დ. ლ — ძესი

შოგა

სიყვარულის ღიმი მოსკდა შორს იე-
რუსალიმის ფირუზოვან 'ცას.

ოხ, რა სიამით აძგერდა შაშან ქვეყნის
გული ოცნების ჰიმნში!

და ის იშვა იქ... გამოკვებულში... ცხოვ-
რების გედმა ფრთა გაშალა; გაფრინდა შორს,
ჩაგრულ მხარეში და იქ ობოლ სოფელს მო-
ასმინა იმედის სხივის გამოკროთმა — დიად ქვეყ-
ნის ძის გამოჩინება.

მწარე ფიქრი, სევდათა გროვა მოშორდა
შთას, გადაიარა ბაღია ცრემლისა, ფიქრითა
ტალღა ემთ მსოფლიოსა... და იქ, აღთქმის
მხარეში მიიწვია ტანჯული ერი. მან განამეფა
ამ ქვეყნათ ჰემმარტება, სიყვარული და
სათნობა... შავი სატანა ჯოჯობეთის ბიოხი-
თით გადაეშვა არყოფნის უფსკრულში...

და იშვა იგი — სოფლის დიდება, წინამორბედი ცისკროვნებისა...

ოხ! რა ნეტარება იგრძნო მაშინ დაღლილ-დაქანცულმა სოფელმა; არასოდეს განალიშევმა! მას ჩამოშორდება შური, მტრობა და ბოროტება, გამეფდება ძმობა ერთობა...

მაგრამ, ვაი სიბნელე! იგი ვერ იცნეს, ვერ გაიგეს მისი სულის კვეთება — და მას მიუძღვნეს ცივი სამარე, დაობლებული, აწამეს ქვეყნის დიდება.

იქ, გოლგოთაზე, სადაც ავახაკებს, უღებდნენ ბოლოს, ის, ვით ავახაკი, ვით ქვეყნის

მშობი იმედებისა — აწამეს იგი, ჯვარს აცვეს..

— და სოფელმა იგი ვერ იცნა... ის კი იშვა, იშვა გამოქცეულში ძე ღვთისა, მომსახობი ბოროტებისა.

ოხ! ნეტავ კვლავ მოგვევლინო, ქვეყნის დიდებავ, და იხილო შენი ტაძარი, დანგრეული, ჩირქმოცხებული, შენი სოფელი ცოდვის უღლით დამძიმებული!

— ის იშვა.. იშვა ქვეყნათ ქეშმარიტება, მსნელი სოფლისა, მაგრამ სოფელმა იგი ვერ იცნა...

ს. ბაირონიშვილი.

პისაღმი კაცისა.

ჰოი, შენ ქრისტევ, დიად მცნების მატარებელო, თავისუფლების, სიყვარულის მლადადებალო, გვასმინე ხმანი, ხმა დიადი, აღსადგინები! კიდევ ერთხელ, ერთხელ კიდევ, რათ არ იშვები?

მიმოიხედე, შენი ტაძარი შეგინებული, სოფლისაგან ჩირქ-მოცხებული, მიტოვებული, კვერთხი დიადი, შენი კვერთხი, შენგნით მოძღვნილი, ცოდვილთა სისხლით, შეთხვრილია, დალაქებული!.

მიმოიხედე, შენი მცნება, შენი მოძღვრება, შორს შავს უფსკრულში იძირება, მიექანება, შურმა ჩაფერფლა წმინდა გრძნობის ტრფობისა ბუდე, სულის ტყვეობის, შავ კაეშნის გაშენდა ზღუდე!

რაც შენდებოდა, კეთდებოდა, ყველა ინგრევა, იმედის სხივიც არსადა სჩანს ხალხი ირევა... წალკოტის გულმა, მოქარგულმა ოქროს მძივებით, ჰოი, მეუფე, ინეტარა მხოლოდ ერთ წამით!..

ს. ბაირონიშვილი.

ირილი

(დღიურიდან)

შეწუხდა იროდი, როცა გაიგო იესო ქრისტეს დაბადება.

„ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ურიას-ტანისასა, დღეთა იროდი მეფისათა, აჰა მოგვნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად და იტყოდეს: სადა არს რომელი ძივი იშვა მეუფე ურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოგვით თაყვანისცემად მისსა. ვითარცა ესმა ესე იროდი მეფესა, შეჰსძრწუნდა.“

ცდებოდა იროდი, თუ ახლად დაბადებული მეუფე ურიათა თავის სამეფო ტახტის მოცილედ ეჩვენებოდა: მაინც მართალი იყო მისი შფოთიანი წინაფარობა.

„სული უფლისა ჩემზედა, რომლისათვის მცხო მე და მახარებლად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსვრილთა გულითა, ქადაგებად ტყვეთა განტევებისა და ბრმათა აღხილვად, განვლინებად მომსვრელთა განტევებითა და ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული.“ აი რას იტყოდა იესო. მაშ იროდს ვიზე ემეფა? მას აქეთ მეოცე საუკუნეა. იესო ქრისტეს სწავლა მთელ დედამიწას მოეფინა. მეფენი და მთავარნი მასდრკენ მის წინაშე. იროდი რა იქნა?

დნაფრე მწარა.

შრომა იესოსთვის.

პატარა ბიჭმა უთხრან ერხელ თავის მშობელებს: „სტოლ ბიჭუნ რუხბითა ბაბილოტსმე მინდოდა, რომ ეხლა ყოფილიყო მაცხოვარი ქვეყანაზე; მე მოვეხმარებოდი მას სარგორს მოეხმარებოდი“ შენ იესოს, ჯერ ხომ სიღვე პატარა ხარ!? ღიმილით ჰკითხა დედამ. „გეგმა რა? ანუ რა მხარეზე მსწრთულ უბასუხა?“. „გავეგზავნებოდი აქეთ-იქით, შევასრულებდი მის სხვა და სხვა ბძინებას.“

ეს სურვილი პატარა ბავშვისა შესასრულებელია ჩვენ დროშიაც, მხოლოდ დიდებისთვის: შემწეობა გაქიერებულთა და უძლურთა, ავთამყოფთა და პატიმართა—ეს ის საქმეა, რომელზედაც ჩვენ გამოგზავნილები ვართ უფლისგან.

და განა მართო „გასავზენ-გამოსავზენათ“ მოგვიწოდეს ჩვენ მაცხოვარი? ჩვენ შევიღებად ვართ მოწოდებული იმისაგან.

ჩვენ ვართ შეილები ჩვენი ზეციერი მამისა, ჩვენ ვართ შეილნი ლეთასანი. ჩვენ ვართ მეგობარნი ლეთისანი. ჩვენ ვართ მოწოდებულნი ისეთ ერთობისადმი ერთმანეთთან და ჩვენს ზეციერ მამასთან, რომელშიაც იმყოფება ღმერთი, სამებით თაყვანისცემული. ჩვენ ვართ ქვეყანაზედ ქრისტეს დაწყებულ საქმის გამაგრებლებლნი. თუ ჩვენ ვივლით ცხოვრებაში ჩვენის ზეციერი მოძღვრის მკნებებზე, მაშინ ჩვენი გული ვახდება სავანედ ცხოველს-მყოფელისა სამებისა..

ნუ თუ არის საჭირო იმაზე ლაპარაკი, რომ ქრისტესთვის ცხოვრებაში, ქრისტესთვის შრომაში არის ერთად-ერთი პასუხი კაცობრიობის ყველა მტანჯველ კითხვებზე, შესახებ ბედნიერებისა ქვეყანაზე, სოციალური სიმართლისა, კულტურისა და მთელი ჩვენი ცხოვრების კეთილდღეობისა?..

ოხ, რა კარგი იქნებოდა, რომ ადამიანი მიმხვდარიყო ქრისტესთვის შრომის საჭიროებას, მთელ სიკაცხლის განშავლობაში ეშრომა ქრისტესთვის, —რანაირი ბედნიერებით, სიხარულით, სიმშვიდით, კმაყოფილებით აივსებოდა მაშინ მთელი ჩვენი დედა-მიწა..?

მაშ ვიშრომით, ვისაც კიდევ შეუძლიან, ქრისტესთვის, ვიშრომით, სანამ ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა....

მდ. იოანე ღუგაშისაგან.

ხვამლის მთა.

ის, რაზედაც ამ პატარა წერილში მე მინდა მოგელაპარაკო, საყვარელო მკითხველო, უფრო დიდი მწეო-

ლისა და ძლიერი კალმის ღირსია, მაგრამ ბედმა დაჩაგრული ადგილის აღწერა ჩემ სუსტ კალამს არგუნა და მეც მორჩილებით ვღებულობ ამ ხვედრს. შეძლებისადაგვარად აგიწერ აუწერელს იმ იმედით, რომ, იქნებ, ვინმე დაინტერესდეს და დაწვრილებით გამოკვლევა მოახდინოს, რათა ღირს სახსოვარი და სანატრელი ადგილი ღირსეულად აღწეროს და გადასცეს ჩამომავლობას წინაპართა გმირობის და სარწმუნოების ნიმუშად. მე მოგახსენებთ ხვამლის მთის და მისი ძველი ნაშთების შესახებ, იმ ხვამლის, რომელიც, არ ვიცი, იმერეთის რომელი კუთხიდან არ დაინახება და ვინ არ იცის მისი სახელი. ხვამლი ქ. ქუთაისიდან დაახლოებით 40 ვერსის სიშორეზე მდებარეობს ლეჩხუმის მაზრაში და მას, როგორც ერთგული შეილები თავის მხცოვანს მშობელს, გარს შემორტყმია ლეჩხუმის ხუთი საუკეთესო სოფელი: ოყურეში, ნაყურალეში, ოფიტარა, ლახეფა და ლაქიპიტა. ეს სოფლები ზნეობრივად და ფიზიკურად ისეთნაირათ შეუკავშირებია ბედისწერას ხვამლისთვის, რომ ვერც ზაფხულ და ვერც ზამთარ ვერ რჩებიან მას და ამიტომ თითოეულ მათგანს თავის საკუთარი გზა შეუდის ამ მშობელ დედის მსგავს მთაში. ზნეობრივი და სარწმუნოებრივი კავშირი, რომელიც უხსოვარი დროიდან გაჩენილა არა თუ მარტო ამ სოფლებსა, არამედ მთელი ლეჩხუმსა და ხვამლს შუა, ცხადი მოწმეა იმისა, რომ აქ, ხვამლზე, მის მწვერვალზე რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა. ამას სხვათა შორის ხალხში დარჩენილი, ანდაზათ გადაქცეული თქმულებებიც ამტკიცებს: „თუ ხვამლისკენ დაიქუხა კაი მოსავა-

ლი იქნება, ხვამლი ვისაც სწყალობს,—ბევრი პური და ღვინო მოუვა“—ამბობს ლეჩხუმელი. ამასვე მოწმობს დღემდის დარჩენილი და წმიდად შენახული ჩვეულება, ხვამლის სასარგებლოდ ყოველ მესამე წელიწადს შეწირულების გაღებისა, რომელსაც „სახვამლო“ ჰქვია. ამ გადასახადს პურით ან ღვინით ყოვლის უარის უთქმელად და დიდი სიამოვნებით იხდის თითოეული ლეჩხუმის, ოკრიბის, (ზოგიერთი რაქისაც) ოჯახი. იშვიათია ისეთი ოჯახი ლეჩხუმში, რომ ერთხელ მაინც წელიწადში არ მოილოცოს ხვამლი და მის მწვერვალთან ცისა და ქვეყნის მპყრობელს არ შესთხოვოს ცოდვათა მიტევება და ჭირთა და საღმობათაგან განთავისუფლება.

ხვამლის გარდასული დიდების დამამტკიცებელია სხვათა შორის ოყურეშის შტატის ეკლესიაში დასვენებული დიდი ვერცხლის წმ. გიორგის ხატი, რომელსაც ქვემო ნაწილზე, მოწამის ფეხქვეშ ხუცური ასომთავრულით აწერია: „წმიდა გიორგი ხვამლისა“. ალბათ ეს ხატი წინეთ ხვამლზე სვენებულა და შემდეგ ხვამლის განადგურებისა ძირს ჩამოუსვენებიათ და ხსენებულ სოფლის ეკლესიაში დაუსვენებიათ. დიდი პატივით და მოკრძალებით ეპყრობა ამ ხატს მთელი ლეჩხუმი და ოკრიბა. დიდძალი შეწირულება შემოდის დღესაც და უფრო მეტი დღემდის შემოუდიოდა. ამის მიზეზია ის, რომ ხატს სასწაულთ მოქმედის სახელი აქვს და ბევრ მლოცველებს იზიდავს. ჯერ კიდევ გადმოცემა მოგვიტხრობს, რომ იგი ბევრჯერ გაუტაცნიათ მტრებს, მაგრამ ვერ შეუნარჩუნებიათ ქი. ერთხელ თათრებსაც უკადრებიათ მისი წა-

ლება, მაგრამ ბევრი მათგანი სასწაულებრივ დახოცილა და ამიტომ დიდი პატივით უკანვე დაუბრუნებიათ. დღესაც ბევრია მისი სასწაულთ მოქმედების მაღლიერი ღეჩხუმში. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ადგილობრივ ეკლესიის კრებულს ჩვეულებათ არ აქვს თითვეული მომხდარი სასწაული სათანადო ხელის მოწერით შემოწმებული აღწეროს და ჩამომავლობათა სახსოვრად დასდვას ეკლესიაში. ერთი თვალსაჩინო სასწაული კი დღესაც ხშირად გამოდის ამ წმ. ხატიდან. დიდი გვალვის და უწყვიმრობის დროს, იმ დროს, როცა ხალხი თითქმის სასოწარკვეთილია თავის წლიურ სარჩო საყოფელზე, მთელი ხსენებული ხუთი სოფელი თავთავის მღვდლებით შეიკრიბება ხოლმე ამ წმ. ხატის წინაშე და მღუთარე ცრემლით მავედრებელი, მოკრძალებით აასვენებს მას ხვამლზე, სადაც პირველი მისი ბინადრობა იყო. აქ მღვდლები პარაკლისს იხდიან მტირალ ფეხშიშველ და თავ ღია ხალხის წინ დასვენებულ ხატის წინაშე და, როგორც მოხუცი კაცები მოწმობენ, ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ხალხის მხურვალე ლოცვით მთავარმოწამეს წვიმა არ მოეცეს დაწყურებულ ქვეყნისათვის....

მაგრამ „აღვიდეთ მთასა სიონსა და სახლსა ღვთისა იაკობისსა“, ავიდეთ ხვამლზე. გარნა მე ვერ შეგპირდებით ავიწეროთ რასაც იქ თქვენი ლამაზი თვალეები დაინახავს. მთა წარმოადგენს ვეებერთელა საღკლდეს, რომელსაც ერთი ფეხი აღმოსავლეთით მდ. რიონში უდგია, იქ, სადაც ქუთაისიდან მიმავალი საფორტო გზატკეცილი გაივლის, და მეორე დასავლეთით მდ. ცხენის წყალ-

ში. შორიდან ეს მთა უნაყოფოთ მოგეჩვენებათ, მაგრამ ზედ რომ აბრძანდებით, თქვენ თვალწინ გადმოვლება საუცხოვო მიდამო მთლად ნაძვის ტყით დაფარული, თქვენს ყნოსვას დაატკობს ნაძვის საკმევლის და ათასნაირი უცხო ყვავილების სურნელება, თქვენს მხედველობას გაიტაცებს დასავლეთით უსაზღვრო სივრცე შავ ზღვამდე ხავერდით დაფენილი და ჩრდილოეთით სვანეთის მთის მუდამ თოვლიანი მწვერვალები, რომლებიც ისე ახლოს მოგეჩვენებიან, იფიქრებთ ხელს გაუწვდენ ან ფეხს გადავდგამ და ზედ თოვლიან კონწოლზე შევდგებიო. თქვენი ფილტვები, მდაბლობში მძიმე და ნესტიან ჰაერს მიჩვეული, ვერ გასძღება მსუბუქ მთის ჰაერის სუნთქვით. მთის გზისგან დამაშვრალს, ბუნებამ მოგიმზადათ სასმელათ მშვენიერი მთის ცივი ჩუხჩუხა წყაროები, ხოლო საბანაოთ ხვამლისვე ერთ ერთ დაბლობზე მშვენიერი ანკარა აუზიტბა, რომელიც მთის წყაროებიდან შესდგება და უხვად გადმოდის თავის ბუდიდან. ამბობენ ეს წყალი სამკურნალოც არისო, თქვენ სმენას ატკობს სხვადასხვა გვარ ფრთოსანთა სტვენა-ჭიკჭიკი და ამ სამოთხისებურ კუთხეს, სადაც მთელი ქვეყნის მეფედ და პატრონათ გრძნობ შენ თავს, არ გინდა მოსცილდე, გინდა შეუერთდე მომხიბლავ ბუნებას სამუდამოდ, საუკუნოდ. ასეთ სურათს წარმოადგენს ის სალი კლდე, რომელიც შორიდგან უნაყოფო ეგონება ადამიანს.

ასეთი თვალ წარმტაცი და ბუნებით შემკული ადგილი, რომ რომელიმე კულტურულ ევროპის ქალაქს ემხრობოდეს, ექვი არ არის დიდ ძალ ხალხს მიიზიდავდა და ერ-

თი წლის განმავლობაში ძვირფას სააგარაკო ადგილად გადაქცეოდა. მაგრამ ვანა ჩვენში აქვს რამეს ფასი, განსაკუთრებით ბუნებას? გარნა რასაც დღეს ჩვენ თვალში ფასი დაუკარგავს, ის ძველად ჩვენ წინაპარებს წმიდათა წმიდათ მიაჩნდათ და თავის საუკეთესო შვილებს, თავის ზნეობრივ და ქონებრივ ძალებს მას სწირავდნენ და იქიდანვე მოჰქონდათ ზნეობა, სარწმუნოება, სამშობლოს უსახლვრო სიყვარული, მამულისათვის გამირული თავგანწირულება, სიმტკიცე და მხნეობა.

ხვამლის ნაყოფიერ მწვერვალზე ოდესღაც დიდი სავანე ყოფილა გაშენებული. ამის მომსწრე ადამიანი დღეს არ მოიპოვება, მაგრამ ამას ხმაძიოლა დაღადებენ ის უსულო საგნები, რომლებიც უღმობელ დროთა ბრუნვას ამ წმიდა ადგილის უხმო, მაგრამ მჭერმეტყველ მოწმეებათ შეუნახავს გადაგვარებულ ჩამოშლილობისათვის, მათდა სამხილებლად და წინაპართა სადიდებლად. ამ საგნების ერთი თვალის გადავლება საკმარისია, რომ დარწმუნდეთ ხვამლის ძველ დიდებაში. თქვენ თვალს წარმოუდგება ეკლესიების და სხვა წვრილ და მსხვილ შენობების ნანგრევები,--რომლებიც შემოხლუდული ყოფილა საკმაოდ ფართე და მაღალ ქვითკირის კედლებით. აქაიქ კლდეებში გამოკვეთილია საცხოვრებელი სენაკები, რომლებიც დღეს მიუვალ ადგილებს წარმოადგენენ. თუ არ ბაწრებით ჩაშვება, ფეხით ჩასვლა ამ სენაკებში შეუძლებელია და არც არავინ ჩასულა. ამბობენ, ვითომ ერთ ერთი მათგანი ამ ნაირათ კიდევ დაეთვალაიერებიოსთ და შიგ ეპოვნოსთ ადამიანის ძვლები და სხვადასხვა საოჯახო

ნივთები. დარჩენილია მთელათ თავნი შესავალი ქიშკრის ქვის სვეტები, რომლებიც თავისსიდიდით აკვირვებენ მნახველებს. არის აგრეთვე სხვადასხვა სიდიდისა და ზომის ნაუცხოო ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც შენობებიდან ჩამოცვივინულაბლომათ არის წარწერებიც, რომელთა აღმოკითხვას ჯერ არავინ ცდილა. უეჭველია, ბევრი რამ მიწითაც არის დაფარული, და ვინ იცის რამდენ საარქეოლოგიო და საისტორიო მასალას ამოაჩენდა აქ მკვლევარი, ვინ იცის, ჩვენი ისტორიის რომელ მხარეს არ გააშუქებდა და აქაური ნაშთები. მაგრამ სად არის დღეს უანგარო მკვლევარი მოღვაწე; ის კიარა, უბრალო მნახველიც სანატრელია დღეს ხვამლისთვის, იმ ხვამლისთვის, რომლის მწვერვალი ერთ დროს ბრწყინვალე თავის მოღვაწეებით და ათასობით იზიდავდა ქართველ მოლოცველებს. შეიძლება რამე ნაწერებიც იყოს დარჩენილი ამ სავანის შესახებ ლეჩხუმის თავადთა სასახლეებში, მაგრამ ამასაც ხომ კაცი უნდა, ამასაც ხომ მოძებნა და პატრონობა უნდა. დღეს კი აღარავის აინტერესებს ხვამლი, გარდა ისევ მდაბიო ხალხისა, რომლის გულში ღრმად ჩამარხულია ხვამლის ისტორია და მისი ღრმა პატივისცემა მხოლოდ ხალხმა, მდაბიო ნაცარა ხალხმა არ დაივიწყა ხვამლი და ამ ორი სამი წლის წინეთ ნიშნად თავის ღრმა პატივისცემისა გააშენა მის მწვერვალზე პატარა ეკლესია, რომელიც ჯერ კურთხევასაც ვერ ღირსებია ჩვენი ლეჩხუმის სამღვდელოების უგულობის და დაუდევრობის გამო, და სწორეთ სამღვდელოების, რადგან საკმარისია მათი ერთი სიტყვა, მათი ერთი ღარ.

ლილი. რომ ხალხმა შეავსოს ნაკლი ახლად აგებულ ეკლესიისა და სათანადო კურთხევის შემდეგ სარწმუნოების და სასოების მდუღარე ცრემლი დაღვაროს უფლის წინაშე და გამოითხოვოს კურთხევა ღვთისაგან, რომ ხელახლა აყვავდეს ოდესღაც სახელოვანი და აყვავებული, ხოლო დღეს ვიდაცემული და მიწასთან გასწორებული სამშობლო მხარე...

პრიტიკული შანიშნავი

„პრდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი I

ი. გედევანიშვილის მოთხრობა „სიმართლე“ კარგია იმით, რომ თითქმის დასრულებულად არის დახასიათებული ღრმად მოხუცებული ქართველი კაცი თონიკაანთ იაგორა, რომელსაც ცხოვრების საგნად სიმართლე გაუხდია, ყოველგან და ყოველთვის ბიწიერებას სდევნის, „ხალხის ყრილობაში ხატობაში, ქუჩაში, დუქანში, ერთი სიტყვით, სადაც კი დროს და შემთხვევას იპოვის, ყველგან კრიკაში უნდა ჩაუდგეს სოფლის მტაცებელს და წამგლეჯს“.

ჩვენს კურთხეულს საქრისტიანო ქვეყანაში თუმცა ისე ხშირად კი არა, როგორც ჰგონია ავტორს და ისე კი მართლაც შეხვდება კაცი ასეთს ადამიანს და, აი, სწორედ ესენი არიან ნამდვილი „მარილნი“ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი გატილებული ცხოვრებისა. უამათოთ ჩვენი სოფლის ცხოვრება სრულიად წაიბილწებოდა, წაირყვებოდა, გახუნდებოდა და ზნეობაში სულ ჩაკვდებოდა. ასეთს ადამიანს სოფლის მართველები, გზირები და მამასახლისები მოუსვენარს ეძახიან და, აი, ჩვენში საერთო მოძრაობის დროს, რა თქმა უნდა, იგი ჩვეულებრივად „სიმართლეს იცავდა“ მაგრამ, გაწყრა ღმერთი და საპყრობილეში ამოჰყო თავი.

აქაც ხასიათის გაუტყეხლობას იჩენს ეს მოხუცებული იაგორა და სატუსაღოს უფროსებს თავის საქციელით საშინლათ აჯავრებს.

სატუსაღოში თავის საქციელითაც და სიტყვითაც იაგორა სიმართლეს ემსახურება. ტუსადებსაც ერთხელ სიმართლის ზღაპარს მოუყვება.

ერთი შავი ტუსადი საპყრობილეში მოსვენებას არ აძლევს ღამით მეორე ტუსადს და ორს ჩხუბიც მოუვა, რასაც სატუსაღოს უფროსი გაიგებს. უფროსს ყოველ სიმართლეს ეტყვის იაგორა. მაგრამ ამისთვის დამნაშავე შავი ტუსადი გადაემტერება ამ სიმართლის მოყვარულ მოხუცებულს და საქმე იქამდის მივა, რომ სამი ტუსადი მოხუცებულ იაგორას შარს მოსდებენ და... „უწყალოდ ცემას“ დაუწყებენ. ამაზე მიცვივდებიან სატუსაღოს უფროსი და ზედამხედველები და, როცა ამ სამი ტუსადის განზრახ შეთხზულ ჩვენებას მოისმენენ, გაკვირვებულნი და გაბოროტებულნი შესძახებენ საწყალობელ, უდანაშაულო, ყოველად პატიოსან მოხუცებულს: „ჰაი, შე ძაღლო, შე ქოფაკო!“ მიუბრუნდა უფროსი იაგორას: „ეგეებიცა გცოდნია? შე უსიხდისო, გარყვნილო, გაძაღლებულო! ფუი, შენ ქალას!.. არც კი გცხვენია? წაათრიეთ ჩააგდეთ სიბნელებაში, არც ლოგინი მისცეთ, არც არაფერი!“ გასცა ბრძანება უფროსმა. „წაათრიეთ!“ წაათრიეს იგი. „ბიძია, იქ მოძებნე სიმართლე“, მოესმა იაგორას შავი ტუსადის ხმა. გაჩუმებული იყო მოხუცი. მარტო მძიმე ქმინვა ამტკიცებდა მის ტანჯვას.

გაიღო სიბნელის კარი და აქ კი რაღაცა მოსწყდა გულიდან, ერთი კი შეჰღრიალა: „სიმართლევ, სიმართლევ! სადა ხარ, სადა!“ და დაეშვა სიბნელის ცივ იატაკზე.

მიადწევს საბრალო მოხუცის ხმა

როდისმე სიმართლემდე? იპოვნის კი ბიძია იაგორა სიმართლის ერთ მარცვალს მაინც? ვინ იცის?!

ბ. ი. გედევანიშვილის მოთხრობამ ჩემზე ძლიერი ჩაბეჭდილება მოახდინა თვისი ერთიანი, დასრულებული გამოხატვითაც და ჩვენს ცხოვრებაში სიმბატური ხასიათის ადამიანის გამონახვითაც...

ბ. ი. გედევანიშვილი ჩემთვის სრულიად ახალი არსია მწერლობაში, თუ არა ვცდები, იგი პირველად უნდა გამოდიოდეს ქართულს მწერლობაში. ამ პირველ მის გამოსვლას მე სიამოვნებით და თანაგრძნობითაც უნდა შევხვდე, რადგან ავტორმა სრულად ახალი ტემა გამოახა ჩვენს ცხოვრებაში და იგი, თუმცა მხატვრულად არა, მაგრამ კარგი ლამაზი ქართული ენით ნათელ ჰყო და გვიამბო დაუზარებლად „გრდემლის“ ფურცლებზე.

ადვილად შესაძლებელია, ავტორმა შემდეგში ფრთებიც გაშალოს და ახალ-ახალი საგნები გამოახოს მწერლობაში დასამუშავებლად. მაშინ იგი შეიქნება უფრო საინტერესო, საყვარელი და კრიტიკის, აგრეთვე მკითხველ საზოგადოების ყურადღებასაც გულწრფელად დაიმსახურებს...

ამ რიგად, მე დავასრულე განხილვა „გრდემლის“ პირველი განყოფილებისა, ესე იგი წმინდა სალიტერატურო სიტყვა-კაზმული ნაწარმოებისა, სახელდობრ, მოთხრობებისა და, უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ეს ნაწილი წიგნისა ნიჭიერად არის შედგენილი. მხოლოდ „ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების“ ყურადღებას მივაქცევ ქართულ ენაზე, მართალია საიმისო შეცდომები მაინც და მაინც ბევრი არ არის, მაგრამ, რაც არის, არ უნდა იყოს. რადგან საქმეს წინ უძღვის მთელი საზოგადოება და მერე

ისიც „სიტყვა-კაზმულ მწერლობის“ წარმომადგენელი. საზოგადოებამ ქართულ ენას, მის გრამატიკულ ფორმებს, კილოკავებს, სიცოცხლის იერს, სიშვენიერეს, მთლად კეთილს უნდა მოანდომოს თვისი შრომა და ღვაწლი, თუ მას გულწრფელად უნდა, რომ ჩვენს ახალს ლიტერატურას სამსახური გაუწიოს.

რაც შეეხება მოთხრობების ავტორებს, იმათ მინდა ამ წლის დასასრულს გამოვემშვიდობო იმ სასიამოვნო საუბრით. რომელიც მათ ყოველთვის, იმედი მაქვს, აინტერესებს როგორც ქართული ბელეტრისტიკის სარბიელზე პატიოსან მომუშავეთ.

მწერლობის, საზოგადოთ ლიტერატურის დიდი დაფარული საიდუმლოება იმაში იხატება, რომ ავტორი ცხოვრების მრავალგვარ მოვლინებათა მიმდინარეობაში იმას გამოგვიხატავს, რაც ყოველდღე თვალებს გვწვავს და გვტანჯავს ან რაც გვასიამოვნებს და გვატკბობს. მკითხველიც, რასაკვირველია, დიდი მადლიერია ამისთვის, ნიჭიერს მწერალს ასჩუქრებს თანაგრძნობით და სიყვარულითაც...

აი, აქ არის წყარო და დასაბამი ყველაფრისა: შენი პირადი, ინდივიდუალური შემოქმედობის გამოკდილება, ცხოვრების დაკვირვება და ტალანტი, რომ არ გაიმეორო ის, რაზედაც სხვებს უწერია უკვე. ან შენ თვითონვე გიწერია როდისმე, არამედ ახალი მოტივი შეიტანო ლიტერატურაში, რომელიც მიანიჭებს მწერალს ორგინალობას ლიტერატურულ ფორმებისა და ცოცხალი სიტყვის ცხოველ-მყოფელობას. როცა ნიჭიერი მწერალი ძალად შეუპყრია დიდსა და მდიდარს, ჯერ სხვის ხელ მოუკიდებელ ცხოვრების მასალას, მაშინ მწერალი ბუნებრივად, ძალ-დაუტანებლად ეძიებს ახალს ფერადებს მხატვრობისათვის, რომელსაც, ადვილად შე-

საძღვებელია, ბევრი მიმბაძველიც გამო-
უჩნდეს მწერლობაში. და ეს ასეც არის
ხოლომე ყოველთვის და ყოველგან...
ცოცხალ ტალანტით დასაჩუქრებულ
მწერალს ყოველთვის შეეძქვს ლიტერა-
ტურაში ახალი რამ: მოტივიც, სიტყვაც
წერის მანერაც, კილოც და, თუ გნებავთ,
შინაარსიც, არაკიც თვისი ნაწარმოებისა
და, სწორედ როგორც თქვას კაცმა, აი, ეს
არის ნამდვილი ცოცხალი შემოქმედო-
ბის შინაარსი, რომელსაც სწორედ ინდი-
ვიდუალური სიტყვიერების, გამოთქმის
ბეჭდით აღუბეჭდია თვისი ნამომქმედარი
ლიტერატურაში.

აი, ამითი არის მწერალი ძლიერი,
უკვდავი და მკითხველიც ძლიერ დაინ-
ტერესებულია ასეთი მწერლის ნაწარ-
მოებით ყოველთვის...

ხომელი.

შემდეგი იქნება.

იაკობ ცოცხალშვილის სიკვდილის გამო.

გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი, აღარ
გვყავს დიდებული პედაგოგი, გულმტკივნეული
აღმზრდელი ახალგაზდობისა და კეთილი მამა
საქართველოსი. მისი გარდაცვალების ამბავმა
ერუანტელად დავვიარა ტანში და გვაგრძო-
ბინა უღრმესი მწუხარება ცხარე ცრემლებად
გადმოდენილი, ისეთი მწუხარება, როგორც
შეუძლია გამოიწვიოს მთელს ერში ისეთ დი-
დებულთა და მაღალ ნიჭიერთა გარდაცვალე-
ბამ, როგორც იყვნენ დიდი ილია, გაბრიელ
ეპისკოპოსი და დიმიტრი ყიფიანი. იაკობ გო-
გებაშვილი იყო ერთი უპირველესი გულწრფე-
ლი შვილი თავის ქვეყნისა და თავის ხანგრ-
ძლიერი დაუღალავი შრომით შეენება და სიქა-
დული ქართველი ერისა.

იაკობი იყო დიდი გულუკეთილი გვამი,
კემპარიტი მამულიშვილი და პატრიოტი; რო-
გორც ასეთი ის ყოველ ქართველ ახალგაზდას
უყურებდა, როგორც პირშო შვილს და არ
იშურებდა მისი პატივისცემისთვის არაფერს,

მისი სახლის კარები ღია იყო მოსწავლეთა-
თვის, ყველას მამობრივი სიყვარულით იღებ-
და, ბაასობდა ხანგრძლივად, უნერგავდა მამუ-
ლიშვილურ გრძობებს და, თუ მის სხვაგან
მყოფობის დროს მივიდოდა ვინმე მის სახლში,
მათ პატივისცემას შხარეულს ავალებდა: „ყვე-
ლას პატივი ეცი, რიგიანათ მიიღე და გაისტუ-
მრეო.“ ამის მაგალითები მე თვითონ მინახავს,
ასეთი სიტყვები მე თვითონ მსმენია განსვენე-
ბულისაგან, რაიცა ამტკიცებს მის გულუკეთი-
ლობას, მის ადამიანობას.

განუზომელი სიყვარული და გულუკეთი-
ლობა ადამიანისა გამოიხატება მის მოქმედება-
ში, საზოგადო მოღვაწეობაში და ასეც მოხდა.
თავის სადგომში გულუკეთილი და პურადი რა-
კობი ასეთივე აღმოჩნდა სადგომს გარეთ, სა-
ზოგადო მსახურების ასპარეზზე; — მან უძღვნა
ქართველ ახალგაზდობას საღი პედაგოგიის ნი-
ადაგზე შედგენილი ძვირფასი სახელმძღვანე-
ლოები, სისტემატიურად დაწყობილი; დედა-
ენის ცოდნასთან სამშობლო ქვეყნის შემეცნე-
ბასაც აძლევს ახალგაზდობას და ამ სახით იგი
ზრდის ნამდვილ მამულიშვილთ. იგი არის მა-
მა საქართველოს განათლებისა, რომელმაც
აწინდელი ქართველი ინტელიგენცია, სულ
მკირე რიცხვის გამოჩაყლით, აღზარდა და და-
უსახა მათ ჰიზანი მომავლის ცხოვრებისა. არ
ფიქრობ, რომ ჩვენს განათლებულებში გამო-
ერიოს ისეთი, რომლის ნერვები ელვის სის-
წრაფით არ აღძრულიყოს იმ მამულისადმი სი-
ყვარულის გრძობებით, რომლითაც გაქდენ-
თილია საუკეთესო პოეტთა ნაწარმოებნი, რო-
მელნიც ბრძნული კლასიფიკაციით აქვს დაწ-
ყობილი სახელმძღვანელოებსა და გარეშე სა-
კითხავ მის მიერ შედგენილ წიგნებში. მეტსაც
ვიტყვი. თუ იაკობი არ გვეყოლოდა ჩვენი მა-
ღალნიჭიერი მწერლების ნაწარმოებნი დარჩე-
ბოდნენ მხოლოდ რჩეული წრის სასიამოვნო
საკითხავად, ხოლო მთელი მასსა მოზარდი
ყრმებით იქნებოდა გარეშე ამ სიამოვნებისა და
აღზრდისა და ამ სახით თვით მწერალნიც მო-
კლებულ იქნებოდნენ ზედმოქმედებით ძალასა
და გავლენას იმ ერზე, რომლისათვისაც ისინი

ასეთი თავდადებით იღვწოდნენ და იღვწიან დღესაც.

მაგრამ გოგებაშვილი იყო არა მხოლოდ აღმზრდელი მოზარდი თაობისა არამედ ხელმძღვანელი თვით მოზარდილი თაობისაცა. ქართულ და რუსულ გამოცემებში მოთავსებულ თავის პედაგოგიურ და პუბლიცისტურ ნაწერებით იგი გვასწავლის, თუ როგორ უნდა ბრძოლა სიმართლისათვის, თუ როგორი გულწრფელობით და გაბედულობით უნდა დავიცვათ ჩვენი ერის ინტერესები. ბეჯითი და ფხიზელი დარაჯი თავის ერისა იაკობი გვასწავლის თვალყური ვადევნოთ ყოველდღიურ მოვლენას, ვავიგოთ რას ამბობენ და როგორ მოქმედებენ ქართველი ერის შესახებ სხვადასხვა წრეებსა და სფეროებში და იმავე დროს დაუყონებლივ გავსცეთ პასუხი მოწინააღმდეგე მხარეს. ამის უტყუარ საბუთს იძლევა თვით მის მიერ გამოცემული „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“: სიცოცხლეში გონიერი მიცვალების წინასწარ წლებშიდაც გონიერად მოიქცა; იგრძნო რა რომ ვზა ქვეყნიურ ცხოვრებისა უკვე განვლო მოაგროვა თავის ნაწერები, დააწყო რიგისამებრ და გამოსცა კიდევაც და ამით მან მისცა შეძლება ახალგაზღვრებს ერთ კრებულში მოთავსებული ნაწერებით გაეცნოს მის მსოფლმხედველობას, მის გრძობათა და მისწრაფებათა ზრდას და ამით მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ მომავალ თაობას. იაკობმა ჩააგდო საძირკველი იმ ვეებერთელა შენობისა, რომელსაც ჰქვია „ქართველი ერის აღზრდა-განვითარება და მისი მოქალაქობრივი უფლებების დაცვა“, და ამ საძირკველზე საქართველოს შ ილნი დააშენებენ იმ თლილ და სპეტაკ ქვებს, რომლებსაც შემოგვძღენის ვითარება დროთა და გარემოებათა. ნეტავი ასე მოქცეულიყვნენ აწ უკვე მიცვალბულნი ქართველნი მწერალნი და მოღვაწენი!!.

იაკობ გოგებაშვილი იყო წინდახედული პოლიტიკოსი და გონიერი პატრიოტი. იგი იქცოდა ისე როგორც მოითხოვდა დრო და გარემოება. ის იყო საუკეთესო ფილანთროპი ქარ-

თველი ერისა და საქადათ გადიოდა მხოლოდ მაშინ და იმ რწმენით თუ წააქცედა მოწინააღმდეგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიჩუმეს არჩევდა და უნდა ჩაეკლა გულში მამულიშვილური გრძნობანი...

ამ ქვეყნად იაკობი იმოდენად გრძობდა თავს ბედნიერად, რადენადაც ხელახლა ძვირფასი სამშობლოს წარმატებას და ბედნიერებას. სამშობლო იაკობისთვის მეორე ღმერთი იყო და არის და აკი მიტომაც ამბობს ერთს თავის წერილში „ღმერთი და საქართველო“. საქართველოს შვილების უწესო მოქმედებით იგი გოდებს და ავითმოფთობს, მაგალითად, როცა ილია მოკლეს საქართველოს ორფეხა მხეცებმა; საქართველოსავე შვილების ღირსეული მოქმედებით იგი ნეტარებს და დღესასწაულობს, მაგალითად აკაკის იუბილეს გამო. იაკობი იყო ღირსეული შვილი მრავალტანჯული საქართველოსი, რომლის წარმატება და აღორძინება შეადგენდა მის უღრმეს რწმენას და უბრწყინვალეს იდეალს. მას სწამდა კიდევაც, რომ საქართველო არ მოკვდება, მას კიდევ მოეღის ბრწყინვალე მომავალი, იგი კვლად მოიპოვებს ადგილს სხვა ერთა შორის და ამ დიდებული რწმენით გარდაიცვალა იგი. რადენიმე წლის წინეთ საჯაროდაც აღიარა: „რცხვენოდეთ ჩვენი ქვეყნის მტრებს, რცხვენოდეთ შინაურს გამცემლებს, აღსდგა საქართველო, ვსძლიეთ დაშავებულ ძალებს“!! — ნეტარება მას რომ ასეთი რწმენით გარდაიცვალა, რა სულის სიმშვიდეს იგრძნობდა იგი სიკვდილის უკანასკნელ წუთებში?!. როგორც ღირსეულმა შვილმა და თავდადებულმა მოღვაწემ ყოველივე თავის ქონება უანდერძა საყვარელ სამშობლოს და ამით მცირე წვეთები მაინც შემატა საქართველოს იმ გონებრივად მომრწველს აუზს, რომელსაც ეწოდება „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. და ასეთი პირი აღარ გვყავს დღეს, ასეთი დიდებული შვილის გვაში მივაბარეთ მიწას დიდების ეკლესიის გაღვივანში. ეს შხრუნველი და გულტკივნეული მამა მიეფარა საქართველოს მზეს... ვიგლოვით,

საქართველოს შვილნო, ძვირფასი მამა, ცხარე
კრემლებით მოვრწყოთ მისი წმინდა სამარე და
შევეფიცოთ, რომ დავიცავთ ჩვენს ეროვნებას.

იაკობ გოგებაშვილის სიკვდილსე.

(უძლიერ ქართველ ყმაწვილებს).

კეთილი მამა მოგვიკვდა,
ალარ გვეყავს დაზრიგებელი
და სიკვდილისგან დაჩაგრულთ
კრემლები მოგვლის ცხელ-ცხელი.

ვინც „დედა-ენა“ გვიბოძა,
გაგვიღო „ბუნების კარი“, —
იმისი ენა დაღუშდა,
იგი ალარ გვეყავს ცოცხალი!

ვინა აღვიჩნდეს მის მსგავსი
სხვა იაკობი აღმზრდელად?
ვინა გვეყოლოს შკოლაში
ჩვენ „დედა-ენის“ დამცველად?

ეს საკითხები ამ ეამად
სულს შხამავს და გულს გვიწამლავს: —
ნუ თუ ქართველი ბალები
ველარ ვიშოვნით წინამძღვარს?!

არა, ის ერი, ვინც შობა
იაკობ გოგებაშვილი,
კვლავ შესძლებს მამულს მიუძღვნას
მისივე მსგავსი სხვა შვილი.

ამა იმედით ყმაწვილნი
ფიცესა ვსდებთ ჰანიბალოურსა, —
მღრს არ ჩამოვრჩეთ იაკობს,
არ ვუღალატოთ მამულსა!!

კვირამ-კვირამდე.

ბაქოში შედგა ქართველ ინტელიგენტთა
პეტარა წრე, რომელმაც განიზრახა სთარგმნოს
ქართულიდან რუსულად ქართველ მწერალთა

საუკეთესო თხზულებანი, რომლის რედაქტო-
რობა იკისრა ერთმა რუსეთის გამოჩენილმა
მწერალთაგანმა. ეს ჯგუფი მიმართავს ყველას,
ვისაც შეუძლია წარმოადგინოს თარგმანი. სა-
სურველია ითარგმნოს მხატვრული ლიტერატურ-
ა და პოეზია. შრომის ფასი მიეცემა ყველას
შედლების დაგვარად, ამ საქმის გამგის მისამო-
რთი: Баку Гоголевская ул. д. Мухтаро-
ва Н. В. Канделаки.

მოკონება.

23 ქრისტეშობისთვის 188... წ. საღამოს
ხანზე გავემზავრეთ ქ. ქუთაისიდან საშობოთ
სოფლისაკენ მე და ჩემი ორი ძმა, მე მა-
შინ ცხრა წლის ვიყავი, უფროსი ძმა — 30 წ.
და უმცროსი — 7 1/2 წ. უფროსი ძმა სამსა-
ხურში იყო, ჩვენ კი სასულიერო სასწავლე-
ბელში ვსწავლობდით, მე მეორე მოსამზადებელ-
ში და ჩემზე უმცროსი კი პირველ მოსამზადებ-
ბელში; უკანასკელი ამდროს რაღაც დასუსტებუ-
ლად იყო: ის ახალი ჩამოყვანილი იყო სოფლი-
დან და, როგორც ვფიქრობ, სოფლად თარბოთ
ტყე-მინდორში თავისუფლებას მიჩვეულმა ვერ
აიტანა ქალაქური მგებუთვა-კარჩავეტულობა.
სრულიად უცხო პირობებში ყოფნა და სველა-
ჯავრისაგან დასნეულდა, ჩამოტყნა და გაყვითლ-
და ეს თურაშაული ვაშლივით წითლად ვაღვი-
ვებული და სავსე მთვარესავით ბაფ-
ში. ჩვენ მოუთმენლად მოველოდით შო-
ბის მოახლოვებას და კლასიდან დათხოვას,
რადგან სოფლად გვინდოდა წასვლა. რაც ჩვენ
მგზავრობაში ვაი-ვაგლახის გამოვლა გვხვდებო-
და, განა ღირდა ათიოდე დღისთვის ჩვენი სოფ-
ლად წასვლა-წამოსვლა და 60 ვერსის ვაგლა-
გამოვლა? მაგრამ, მოგეხსენებათ ჩვენთვის
ბუნება ბევრს რასმეს ნიშნავს: მისთ-
ვის საშობლო კერა ყველაფერზე უჭვირფა-
სესია, იგი უფრო აფასებს მას, ვიდრე მოზრ-
დილნი, ასაკოვანნი, რომელთაც სხვადასხვა
გარემოებათა გამო ხშირად ავიწყლებათ ის კუ-
თხე და ის მიდამო, სადაც მათ პირველად თვა-
ლი აღიხილეს და სადაც იგრძენეს დედის

ტკბილი ალერსი; ესენი ძალიან იშვიათად ინახულებენ ხოლმე ამ ძვირფასს კუთხეს. ბავშვი კა, რავინდ კარგ მდგომარეობაში ჩააყენო სხვაგან, თავის სახლს მოშორებით, მისთვის ეს ყოფა სატანჯველია; მხოლოდ თავის დედმამის სახლში ყოფნით და ტოლ-ამხანაგებში ხტუნვა-თამაშით გრძნობს იგი თავის თავს სრულ ბედნიერათ. ბავში სულ მუდამ, ცხნდში და სიხმარში სამშობლო სახლისკენ იყურება და იკაურობა ელანდებ. ნამეტურ გვაგონდებოდა ჩვენ, ჩვენი სამშობლო ქერი, რადგან ნხევარჯერ ქუთაისში მშვიერები ვიყავით. მართლაც რა ცხოვრება იყო ჩვენი ცხოვრება: სოფლიდამ ჩამოგვდიოდა სამი-ოთხი თვის საყოფი სიმინდის ფქვილი, რომელიც თვითონ ჩვენ უნდა მოგვეზილა და გამოგვეცხრა. სასაცილო და თან შესაბრალისი დასანახავი იყო, როდესაც ჩვენ კლასიდგან მშვიერ-მწყურვლად მოსულნი, შეუდგებოდით ხაბაზობას: რვა ან მეტს კეცს (მერე რავარ კეცებს? ოთხად და ექვსად დატეხილს.) მივადგამდით, შვეაკოლიკებდით ერთმანეთზე და როგორც კი უკანასკნელი კეცი დაიდგებოდა; ვეტაკებოდით ქვეშა კეცს, ვაძრობდით და ვაყენებდით შქადს, რომელიც ისევ უშუშარნი და უმცხვარი იყო და ვთანთქლავდით; მერე მივყოფდით ხელს სხვა მქადებსაც თანდათანობით. ხშირად ჩხუბიც შეგვიდგებოდა მქადის განაწილებაზე. გულგატეხილი ვიყავით; საქამანდი ჩვენთვის არ სუფევდა, ვგებ ხანდისხან ლობიის ან ქართოფილის ქამის ღირსი ვაგებდებოდით და ამისთანა დღეებს ჩვენ დიდ დღესასწაულად ვთვლიდით; არც დამრეცხი იყო ჩვენთვის, არც დამკერი. ანკი რა უნდა დაერეცხა? საცვლები არ გვქონდა თითო ცალი საცვალი გვქონდა და ორ წელიწადს უნდა გვყოფნოდა, ყველაფერს ჩვენვე ვაკეთებდით. ასეთი იყო საზოგადოთ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა მაშინდელი ცხოვრება. ყოველგან სიბეჩავე, სილატაკე, უბატრონობა და ღვთის ანაბარად მიგდებულობა გამოსჩანდა ჩვენ ცხოვრებაში. მით უმეტეს ცუდ მდგომარეობაში ვიქნებოდით ჩვენ, რადგან შამა ჩვენი სულ სხვა სოფელში იყო მღვდლად გამწესე-

ბული და იქ მას ყოველივე საყიდელ-მოსაპოვებელი ჰქონდა და მაშასადამე არ შეეძლო ჩვენი რიგიანათ კვება-რჩენა. მიუხედავად ასეთი ყოფა-რჩენისა, უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა კარგათ სწავლობდა: სილარბე-სილატაკე იწვევდა მათ გულმოდგინეობა-მუყაითობას. რადგან ლუკმა პურის მონატრული ვიყავით, ამისათვის დიდი გულის ფანტკალით მოველოდით კლასიდგან საშობოთ დათხოვას, სოფლად მისვლას, იქ ფერდის ამოვსებას და თავისიანების ნახვას. რამდენადაც ახლოვდებოდა დათხოვის დრო, იმდენათ მეტი აღელვება გვეტყობოდა სოლმე, სწავლა-მაცადინობაზე გული გვიცრუვდებოდა და ბილეთის მიღების მოლოდინში ვათენ-ვალამებდით დღეებს. აი კიდევ დავვირიგეს ბილეთი, ნიშანი ჩვენი მეცადინეობის და ნიჭის გამოჩენისა. ზოგს სიხარულისაგან ღიმილი მოსდის პირზე, ზოგი კი მწუხარებით პირმოკუმშულია ცუდი ნიშნების დანახვით. აქამდის მღელვარე და ჟრიამულ-ხრიამულით გატაცებული ბავშვა საზოგადოება დაუჭრდა, დამშვიდდა მცირე ხანს, ბილეთებმა თილისმასავით იმოქმედა მათზე და ყველანი მათში ჩაშტერებოდა გაგიყვებით. და ამ ჩაშტერებამ ზოგი გაახარა და ზოგი დაანადვლიანა. მათ ოცნებაში დახატულს ბედნიერ დღეებში მოსალოდნელს სიამოვნება-კმაყოფილებას — რჩილი მიაყენა და ფასი დაუკარგა. პირველნი თავმომწონეთ გაეშურენ სახლისაკენ ხელში გაშლილ ბილეთ დაკავებულნი, რომ გზაში ყველასათვის თავისი ყოჩალობა დაენახვებიათ. მეორენი კი წელმოწყვეტილი მიიზღაზნებიან სახლისაკენ. ესენი მალავენ ბილეთებს, არ უნდათ რომ ვინმე უნახოს და თავი შეირცხვიონ მათთან, ამისთვის ისინი თავდახრილნი მიდიან და იქით-აქეთ არ იტყობიან, როგორც მათი ბედნიერი ამხანაგები. სწორეთ ნამეტნავად უშხამავს გულს მოსწავლე ბავშვს ცუდ-ნიშნებიანი მოწმობა და სიკოცხლეს უმოკლესს ამისი ჯავრი. ერთი და ორი, ანუ, როგორც იტყვიან, „ელინიცა“ და „ღვა“ — აი ის სასწაულთმოქმედი ძალა, რომელსაც შეუძლია შეაშინოს შეამრუწუნოს და სასოწარკვეთილებაში ჩაავდოს

თვით დაუდგარი ცელქი და თამამი, მხიარულებით აღსავსე და თავისუფლების მოყვარე ბავშვიც კი! მაგრამ დედამამის სახლში წასვლას ვერაფერი ძალა ვერ დაუშლისთ ამათ და ესენიც ჩანთა მოკიდებულნი მიეჩქარებიან სოფლისაკენ. ჩვენც უცდით სოფლიდამოკაცს და ცხენებს ჩვენ წასაყვანად. ამასაც მოვესწარით და მეორე დღეს გაუდგეით გზას. მე და ჩემი უმცროსი ძმა ერთ კურტიან ცხენზე ვისხედით. უფროსი უზნაგრიან ცხენზე იჯდა, სხვები ქვევითნი იყვნენ. დიდი გზა იყო გასავლელი, ასე 60 ვერსი. ამასთან ამინდი იყო ერთობ ცუდი, თოვდა, ცივი ქარი სისინებდა და ძვალბილში გვივლიდა; ჩვენ არ ვიყავით საზამთროთ გამოწყობილნი თბილად და სიცივისაგან კბილებს კაწკაწი გაჰქონდა. ნახევარი გზა კიდევ არ გვქონდა გავლილი, რომ დავვალამდა. ბოვლმა იმატა, ქარიც გაძლიერდა და საშინლად დაუბერა, მე მომტაცა ქული და სადღაც შორს წააქროლა. რადგან სიბნელისა გამო გზის გაგნებაც არ შეიძლებოდა, ჩვენ უნდა დავბინავებულიყავით სადმე, მარა სად შეგვეფარებია თავი, ვინ მიგვიღებდა ხუთ-ექვს კაცს ისეთ ცუდ ამინდში, როგორიც იყო მაშინ? ყოველი გზის მახლობლად მცხოვრები შეწუხებულად გრძობდა თავს მგზავრთაგან, რომელთა ბრძახვი მაშინდელ დროში მრავალი იყო; ვინაიდან საჩხერიდამ დაწყებული ზემო იმერეთის ხალხი ამ გზით დადიოდა, რადგან შორაპან-ქიათურის რკინის გზა მაშინ არ იყო გაყვანილი და არც არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა მაშინ, თუ როდისმე შესაძლებელი იქნებოდა ასე გზის გაყვანა. ჩვენ საყვარელ მგოსან აკაკის გარდა. ვერსად ჩხარამდის (ჩხარი დაბაა და შორავს ქუთაისს 40 ვერსით), დუქანს ვერ შეხვდებოდით გზაზე. ერთად ერთი ბინა, მგზავრთათვის თავშესაფარი, იყო ეგრეთწოდებულ სიმონეთის ფოშტას იქით დაფარალებული თავლა-სახლი, სადაც თავისუფლად შამოქიქინებდა ქარი; მაგრამ გაქივრებულ მგზავრთათვის ეს პირველ ევროპიულ სასტუმროთ ჩაითვლებოდა. ჩვენც მივაშურეთ ამ სახლს; მას-

პინძელმა შეშა დააყარა ცეცხლზე, ჩვენ იქითაქეთ შემოუსხედით და გავითბეთ სიცივე-თოვლისაგან გათოშილი ხელ-ფეხი. დაწოლა და დაძინება კი არ მოხერხდებოდა, ვიყავით წამოყუყული ჯირკვბზე და ვყვინთავდით. ის დამეწელიწადათ გვეჩვენა. რა ვარც იქნა მოვესწარით გათენებას და ჩვენ ისევ გაუდგეით გზას. მხოლოდ ეს მგზავრობა უფრო უბედური, მეტად შემაწუხებელი აღმოჩნდა ჩვენთვის. მე და ჩემ ძმას ცხენი რალამაც დაგვიფრთხო, გავვიტენდა, ჩემი ძმა გადმოადგო მაშინვე, ძირს ახეთქა და შუბლ-ნიკაპი გაუხეთქა, მე კი ბაწრის უზანგიდგან ველარ გამოვაძერე ფეხი, თავდალმა დავეკიდე და ისე გამარბენინა კარგა მანძილი. ჩვენს ყვირილ-ტირილს, ვაი და უის ძახილს არ ქონდა დასასრული. უფროსი ძმა ძლიერ შეშინდა, აღარ ეგონა თუ ჩვენ ცოცხლები დაერჩებოდით, ამასობაში დავვეწიენ ჩვენი მხლებელი კაცებიც, დაუარეს ცხენს თავი, როგორც იქნა, და მეც თავდაბეგილი გადმომიღეს. რადგან ის ჩვენი ცხენი ფეთიანი გამოდგა, სხვა ცხენზე შეგვაჯინეს, მარა ჩემ ძმას უმატა სიხუსტემ, მოსხლტა მთლად, და ცხენზე ჯდომა ველარ შესძლო. ამიტომ იძულებული შეიქნენ ზურგით ეტარებიათ საწყალი. ორგან სამგან სახლში შეიყვანეს გასათბობათ. ღამდებოდა, ზამთარი უფრო და უფრო იჩენდა ძალას და ჩვენ ისედაც შეწუხებულს გულს გვიწუხებდა, ჩვენ სახლამდის კიდევ კარგა დიდი გზა გვრჩება. ჩვენი წუწუნი (ნამეტურ ბავშვების), ოხვრა-გმინვა მხეცსაც კი შესძრავდა და შეაბრალებდა ჩვენ თავს. რის ვაივავლახით მივუახლოვდით ჩვენ სახლს. შუალამე იყო, მაგრამ ჩვენებს არ სძინავდათ, ივინი მოუთმენლად მიგველოდენ ჩვენ. ძალის ყვეამ ამცნო ჩვენი მისვლა მათ და წინ შემოგვეგებენ მამა და დები (დედა კი ერთის წლის წინათ გადაგვეცვალა). ნამეტურ მიეხაფიფენ უმცროს ძმას, რადგან მისი ულონობა ქქონდათ ვაგებულო და ამასთანავე ახლად მოწორებული იყო სახლს. ვახშამი მზად იყო და ჩვენც კარგ მასპინძლობასთან სულ დავგავიწყდა

„ყინვაც და მისი ბაქი-ბუქიცა“. აქა იქ კიდევ შე-
ლილოეთა ხმა ისმოდა. ყველა ხარობდა ამ დღის
მოლოდინით და, მიუხედავად გზაზე ნახულ-გამოვ-
ლილ მწუხარება-გაქვირებისა, ჩემი გულიც სი-
ხარულით აღსავსე იყო: იმოდენი გავლენა
იქონია საკუთარ ჰერმეტიკვუმ, თავისიანე-
ბთან ყოფნამ და ბედნიერი დღის მოლოდინ-
მა. მაგრამ სამწუხაროთ ეს ბედნიერი დღე ჩვე-
ნთვის თურმე უბედურათ თენდებოდა, ისე უბე-
დურათ, რომ ახლაც, როცა წარმოვიდგენ,
შიშის ერთნატივი მივიღის ტანში, გული
სევდა-მწუხარებით მევსება და თვალთაგან ცრე-
მლთა ნაკადული მეფრქვევა.

გათენდა შობა დღე. ჩვენი დები ადრე
შეუდგნენ სამზადისს. მამაჩემი, როგორც
ღვდელი, ლოცვად იდგა მეორე ოთახში და
საწირავად ემზადებოდა, დები კი საუზმეს გვიმ-
ზადებდნენ. მე და ჩემი უფროსი ძმა ადრე ავ-
დექით, ხელ-პირი დავიბანეთ ცეცხლის პირას
დავსხედით და ვაპირებდით საუზმობას, მაგრამ
უმცროსი ძმის გაღვიძებას უყურებდით: ის კი
გაღვიძებას არ ფიქრობდა. მივიდნენ და დაუწყეს
ღვიძება, ჯერ ნელა მერე ცოტა ხმაზღდა და
უწყეს ძახილი და ჯინჯვალი. ბავშვი არ ინ-
ძრეოდა, ხმას არ იღებდა. ყველას ელდა
ეცა. მიხედნენ, რასაც მოასწავებდა ეს დუმილი
და გამწარებულნი მამასთან გავარდნენ და უთ-
ხრეს ყოველივე ისიც გაფითრებული გამოიქცა
და მივარდა ლოგინს, სადაც იწვა უმცროსი
ძმა, მაჯაში მოჰკიდა ხელი და მორთო სა-
შინელი ყვირილი: „ვაიმე, შვილო, რაეა გამო-
მკვალე ხელიდან, რომ ერთიც არ დამე-
ლაპარაკეო, რას ვიფიქრებდი მე უბედური თუ
ეს დღე მომელოდაო“. მამის ყვირილს დაერ-
თა სხვების წივილ-კივილი და შეიქნა გულის
შემზარავი ვაი-უშველებელი. მოცივდნენ
მეზობლებიც და ჩქარა მთელ სოფელს მოედო
ეს ამბავი. მღვდელს უცებ შვილი მოკვდომია რა-
ღაც მიზეზითაო, ამბობდნენ ყველგან სო-
ფელში. მართლაც გასაკვირალი იყო ეს
შევთხვევა: მანამდის საიმისო არა ეტყობოდა
რა ბავშვს, იმ ღამეს კარგ გუნებაზე იყო
და ყველას ებუხათფებოდა, მოსხლეტილად კი

იყო გზაში, მარა არა ისე, რომ მოსალოდნე-
ლი ყოფილიყოს მისი სიკვდილი. მისი უცებ
გარდაცვლის მიზეზი გამოუცნობელი დარჩა,
ახლაც ვერ ამიხსნია, თუ რა მიზეზით მოხდა
მისი ასე უდროოთ მოსპობა. ეგებ საღათის ძილს
რომ ეტყვიან, იმითი იყო დროებით შეჩერებუ-
ლი მისი სიკოცხლის მაჯის ცემა და, რომ მიმ-
ხვდარიყვნენ, და ხელი შეეწყოთ, ვინ იცის ეგებ
ისე დაუბრუნდებოდა სიკოცხლე იმ საცოდავს.
ამ დასკვნამდე მივედი მე, როცა ზედა კლასებ-
ში ვსწავლობდი. ქართული ენის მასწავლებელი
(ა. ბენაშვილი) ხშირად გვეკითხავდა სხვა და
სხვა წიგნებს და გაზეთებს. ერთხელ გაზეთი
„ივერიაში“ ამოკითხა მან შესახებ საღათის
ძილით გარდაცვალებულთა, რომელნიც თურ-
მე ხშირად თვით საფლავში იღვიძებენ და იქ
ძლიერ სატანჯველში ვარდებიან გამოუხიზლე-
ლების შემდეგ. ამისმა ვაგონებამ მაშინაც
ლაზვარივით გამიარა გულში და ახლაც მისი მო-
გონება სულს მიზუთავს, გულს მიკლავს. — ეს
ერთი დღესასწაული ჩაგვშხამდა და ჩაგვშარ-
და. ბედმა ესეც მარ გვაკმარა წინ წინ
კიდევ უდიდესი უბედურობა მოგველოდა:
სახლში იმყოფებოდა ცამეტი წლის ჩემი ძმა,
რომელიც იმავე სასწავლებელში სწავლობდა
და რომელიც ავთამყოფობის გამო ადრევე
მოვიდა სოფლად. დღით ახალწელიწადს იგიც
გარდაიცვალა. ჩვენ მოთქმას და მწუხარებას არ
ჰქონდა საზღვარი. ყველანი ერთად ცეცხლის
რისხვით უყურებდნენ ამგვარ უბედურებას და
ათასნაირ კორებს ავრცელებდნენ უბედურ მა-
მაჩემზე. სხვათა შორის ამბობდნენ ვიღამც
მას ნაარმი რამე მჰქონოდას შეძენილი და
ღმერთმა იმისთვის დასაჯა. ამას გაიძახოდნენ
მტრები, რომელთაც შემურდათ მამაჩემის
გარჯდლობა და დღითიდღე წარმატება ყო-
ველ საქმეში. მოსულმა კაცმა როგორ ვვაჯო-
ბაო, ჩვენ ვერ მოგვიხერხებია შვილების სას-
წავლებელში გამოზდა და იმას ოთხი შვილი
ნასწავლი ყავსო და იდგილმამულიც ბევრი
შეიძინაო. ნამეტურ გახარებული იყო ამ უბე-
დურებით ერთი შეძლებული ახნაური ტი-
მელსაც მამა ჩემი ისე მონურად არ ემორჩი-

ლებოდა, როგორც მისი წინა-მოადგილე მღვდლები და ამისთვის ძლიერ ემტერებოდა, და სცდილობდა ყოველი მხრით მის შევიწროებას. უმრავლესობა კი თანაგრძნობით ეკიდა მამა ჩემს და ანუგეშებდა მას. იგიც, როგორც ღვთის მსასოებელი, მართალ იობსავით გაიძახოდა: იყავნ ნება ღვთისა! უღვთოთ არა რა იქნებისო. ჩემი გაშვება კი აღარ უნდოდა სასწავლებელში, რადგან შეაშინა ამ უბედურებამ, მაგრამ მე დაჟინებით ვებვეწებოდი და ორი თვის შემდეგ როგორც, იქნა, გამოშვა ქუთაისს. როცა კლასში მივედი, ყველა გაკვირდა, რადგან მეც მკვდარი ვგონებოდა.

შობა-ახალწელიწადი გასახარელია ყველა ქრისტიანისათვის. ჩემთვისაც ასე უნდა იყოს, მარა ზემოაწერილი შემთხვევანი ყოველთვის ფასს უკარგვენ და სიხარულის ნაცვლად ჩემში იწვევენ მწუხარებას და დამაღწეველ ფიქრებს.

მღ. დ. ლ.—მე.

წვრილ მეფუტკრეთა საყურადღებოთ.

იმერეთის ეპარქიის წმ. სანთლის ქარხანა ამით აცხადებს, რომ იგი ყიდულობს ცვილს წვრილათაც სამი გირვანქიდან დაწყებული და იძლევა გირვანქაში სამ აბაზს. ცვილი მიიღება ქ. ქუთაისში სანთლის დუქანში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაკის მახლობლად და გელათის მონასტერში თვით სანთლის ქარხანაში. მისი მეუფება ყოველდღისამღვდელი გიორგი ვალად უდგენს სამღვდლოებას ეს გარემოება შეატყობინოს სოფლის წვრილ მეფუტკრეებს, რომ მათ ამით თავი დაახწიონ ჩარჩებს, რომლებიც ფასებშიდაც ატყუებენ და წონაშიაც.

მადლობის გამოცხადება.

მაშაო რედაქტორა!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით

დიდი მადლობა გამოუცხადოთ ჩვენს თანამემამულეს ოლა ღამბაშიძისას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო ჯრუჭის მონასტერს 533 ცალი სხვა და სხვა წიგნაკები, რომელიც დარიგებულ იქმნა ამავე მონასტერში არსებულ შკოლის მოწაფეებზე.

წინამძღვარი ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი გაბრიელ.

მაშაო რედაქტორა!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ზინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ მე და რწმუნებულ ჩემდამო ბოგილის წმიდის ნიკოლოზის ეკლესიის მრევლის მხრით დიდათ პატივცემულ-უკვე გარდაცვალებულის ღენერლის ბარნაბა კანდელაკის ქვრივს ეკატერინეს, რომელმაც ბოგილის წმიდის ნიკოლოზის ეკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი ბაირალი, ღვთის-მშობლის და წმ. ნიკოლოზის ხატებით, ღირებული ორმოც და თორმეტის მანეთისა!

მღვდელი იოსებ დაჩჩია

მაშაო რედაქტორა!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნს ეკატერინე ელიზბარ შანიძის ასულს—კანდელაკისას, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა სოფელ გორმალის სამების ეკლესიას ორი დიდი შანდალი, ღირებული თუთხმეტი მანეთისა.

ხსენებულ ეკლესიის მრევლის მონდობილობით, მღ. ნიკოლოზ შანიძე

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟავლიძე

გამომცემელი იოსებ ლეჟავა

Открыта подписка

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

Безпартійно-прогрессивный, демократическій органъ, обелуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія національностей.

(Восьмой годъ изданія).

Подписная цѣна.

Съ доставкой въ городъ Тифлисѣ:

12 м.	11 м.	10 м.	9 м.	8 м.	7 м.	6 м.	5 м.	4 м.	3 м.	2 м.	1 м.
5 р.	4 р. 70 к.	4 р. 40 к.	4 р. 10 к.	3 р. 80 к.	3 р. 40 к.	3 р.	2 р. 60 к.	2 р. 20 к.	1 р. 75 к.	1 р. 35 к.	75 к.

Съ пересылкой для иногородныхъ.

7 р.	6 р. 50 к.	6 р.	5 р. 50 к.	5 р.	4 р. 50 к.	4 р.	3 р. 50 к.	2 р. 80 к.	2 р. 10 к.	1 р. 40 к.	75 к.
------	------------	------	------------	------	------------	------	------------	------------	------------	------------	-------

За границу вдвое больше городекой.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНИЯ.

Для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп., Стороннее сообщеніе 15 коп., зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартирѣ, наймѣ прислуги на 4 стр. 25 коп., каждое. Траурныя объявленія—4 руб.

Объявленія въ предѣлахъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор.: С.-Петербургѣ—Большая Морская, № 41, въ Варшавѣ—Маршалковская № 130, по 24 коп.; передъ текстомъ и 12 коп., послѣ текста.